

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუხრანის და სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება.
2	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მდებარეობა
2.1	რეგიონი – მცხეთა-მთიანეთი
2.2	მუნიციპალიტეტი – მცხეთა
	ადმინისტრაციული ერთეული – მუხრანის და ძეგვის ადმინისტრაციული ერთეული
2.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. მუხრანი და სოფ. ძეგვი
2.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. მცხეთიდან 5-15 კმ.
2.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან – აღემატება 10 კილომეტრს
2.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. ქსნის აუზი; მდ. მტკვრის აუზი
2.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –

არმაზის სათავე / ჭაბ. №1

<b>არმაზის სათავე</b>		
1	471012	4632045
<b>ქსანი-მუხრანის ველი</b>		
1	463982	4640270
2	463924	4640376
3	464011	4640184
4	464045	4640087
5	463916	4640479
6	463939	4640513
7	463825	4640476
8	463891	4640564
<b>WGS 1984</b>		



მუხრანის ველი

ჭაბ. №1



ჭაბ. №2





ჭაბ. №3



ჭაბ. №4



ჭაბ. №5



ჭაბ. №6



ჭაბ. №7



ჭაბ. №8



2.8 ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – არმაზის სათავე 506 მ. მუხრანის ველი – 525-531 მ.

2.9 კლიმატური პირობები – რაიონის კლიმატი ზომიერად სუბტროპიკულია. მუხრანის სადგურის მრავალწლიანი დაკვირვებით ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დეკემბერში მერყეობს -5-38°C-ის ფარგლებში, აგვისტოს თვის მაქსიმალური ტემპერატურაა +26°C, 38°C. საშუალოთვიური მრავალწლიანი ტემპერატურა ფიქსირდება -7-14°C, იანვარში +20-24°C აგვისტოში. ნალექების მაქსიმალური საშუალოთვიური აღინიშნება მაის-ივნისში – 217 მმ, მინიმალური იანვარში – 0.1 მმ.

3 ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები



3.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან –
3.2	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
3.3	დამატებითი მონაცემები –
4	<b>სატყეო რესურსები</b>
4.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.
4.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – არ ფიქსირდება.
5	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოლოგიური პოზიცია</b>
5.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) ჰიდროგეოლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით – ფოროვანი, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიული აუზი.
5.2	<p><b>წყალშემცველი პორიზონტი</b> – მუხრანის ველის ტერიტორია ძირითადად წარმოდგენილია ორი წყალშემცველი პორიზონტით – გრუნტის და წნევიანი წყლებით. გრუნტის წყლების პორიზონტი პირველია მიწის ზედაპირიდან და წარმოდგენილია ალუვიური კაჭარ-კენჭნარით, ქვიშისა და ქვიშნარების შემავსებლით. პორიზონტის სიმძლავრე 25 მეტრია. წნევიანი წყლების პორიზონტი განლაგებულია უშუალოდ გრუნტის წყლების პორიზონტის ქვევით 45-68 მეტრ სიღრმეზე. პორიზონტის საშუალო სიმძლავრე 22 მეტრია.</p> <p>არმაზის სათავეს ტერიტორია წარმოდგენილია შუა ეოცენის ზღვიური ვულკანოგენურ-დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსით, რომელიც აგებულია ლაგური ანდეზიტების განფენებით, მათი ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოქვიშაქვებით, ტერიგენული ქვიშაქვებით, რომლებიც ხასიათდებიან ნაპრალიანობით.</p>
5.3	<b>ცალკეული ობიექტის (წყაროს, ჭის, ჭაბურღილის) მონაცემები (სიღრმე, კაპტაჟი)</b> – მუხრანის ველის ჭაბურღილების საგარაუდო სიღრმეებია 70 მ.
6	<b>მიწისქვეშა წყლების ხარისხობრივი დახასიათება</b>
	<p><b>ქიმიური შედგენილობა</b> – მუხრანის ველის წყლები ქიმიური შედგენილობით ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ან კალციუმიან-ნატრიუმიანია. საერთო მინერალიზაცია 0.25-0.5 გ/ლ. pH – 6.9-8.2. საერთო სიხისტე 1,7-4,2 მგ/ეკვ.</p> <p>შუა ეოცენის ზღვიური ვულკანოგენურ-დანალექი ქანების პორიზონტის წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმი-ნატრიუმიანია. წყლების საერთო მინერალიზაცია დაბალია და მერყეობს 0,2-1,0 გ/ლ-ის ფარგლებში.</p>
6.1	
	<b>სანიტარიული მდგომარეობა</b> – პორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.
6.2	
	<b>ტემპერატურა</b> – 9-16 <sup>0</sup> C; 14-15 <sup>0</sup> C.
6.3	
	<p><b>წიაღითსარგებლობის ობიექტის დაძიების ხარისხი (სტადია)</b> – ტერიტორია შესწავლილია მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის ალუვიური ნალექების საბადოს დეტალური ძიების სტადიაზე ქ. თბილისის და ქ. მცხეთის წყალმომარაგებისათვის.</p> <p>მცხეთის რაიონის ტერიტორია შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე.</p>
6.4	
	<p><b>წიაღითსარგებლობის ობიექტის შესწავლის ხარისხი</b> – სალიცენზიო ჭაბურღილების ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ პორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, მოთხოვნილი 1700000 მ<sup>3</sup>/წელიწადში (არმაზის სათავე ნაგებობიდან - 200000 მ<sup>3</sup>/წელიწადში; ქსანი მუხრანის ველის სათავედან – 1500000 მ<sup>3</sup>/წელიწადში) რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია.</p>
6.5	

	საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილი P (პროგნოზული) კატეგორიით.
6.6	<b>მიწისქვეშა წყლების გამოყენების სფერო (ფაქტიური და შესაძლო) –</b> წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის.
6.7	<b>სალიცენზიო პირობები წიაღით (წყალი) სარგებლობისთვის –</b> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ლიცენზიის მფლობელმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე;</li> <li>2. ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში, ლიცენზიის მფლობელმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა;</li> <li>3. უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;</li> <li>4. ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.</li> </ol>
6.8	<b>დამატებითი მონაცემები –</b> გრუნტის წყლების ჰორიზონტის კვება ხდება მდინარის, წყაროების ჩამონადენისა და ატმოსფერული ნალექის ხარჯზე. ასევე, კვებაში მონაწილეობას დებულობს წნევიანი წყლების გადმოდინებაც. წნევიანი წყლების კვების არე განლაგებულია მუხრანის დეპრესიის პერიფერიულ ამალღებულ ადგილებში. კვება ხდება ზედაპირული ნაკადებისა და ატმოსფერული ნალექების ხარჯზე.
7	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება</b>
7.1	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია –</b> სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილები), რომელიც წარმოდგენილია არმაზის სათავის სახელწოდებით (ერთი ჭაბურღილი), მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარე მთა სამებას ჩრდილოეთ ექსპოზიციის დახრილობის ფერდობის ძირში, ხოლო ქსნის-მუხრანის ველის სახელწოდებით წარმოდგენილი 8 ჭაბურღილი, მდებარეობს მდ. ქსნის ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე.
7.2	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია –</b> საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
7.3	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია –</b> სტაბილური.
7.4	<b>წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გართულებები –</b> მოსალოდნელი არ არის.
7.5	<b>გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა –</b> არ საჭიროებს.
7.6	<b>დასკვნები და რეკომენდაციები –</b> <ol style="list-style-type: none"> <li>1. სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილები) რომელიც წარმოდგენილია არმაზის სათავის სახელწოდებით (ერთი ჭაბურღილი) და ქსნის-მუხრანის ველის სახელწოდებით (რვა ჭაბურღილი), მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის ძეგვისა და მუხრანის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე;</li> <li>2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას;</li> <li>3. სალიცენზიო ობიექტები, რომლებიც მთლიანობაში წარმოდგენილია ცხრა ჭაბურღილით, საჭიროებს თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგებას, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას, შემოდობას და I სანიტარული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონის მოწყობას;</li> <li>4. ლიცენზიის მფლობელმა უნდა აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურაზე და ქიმ. შედგენილობაზე; ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში,</li> </ol>



	<p>ლიცენზიის მფლობელმა უნდა შეადგინოს წყლის მარაგების ანგარიში და უზრუნველყოს მისი დასამტკიცებლად წარდგენა; უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;</p> <p>5. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტ. 3;4) გათავალისწინებით ჭაბურღილებიდან წყლის მოპოვება დასაშვებია.</p>
<b>8</b>	<b>გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა</b>
<b>8.1</b>	<p>გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) –          უ. მახნიაშვილი, ა. ქოიავა, მ. ლვანოვა          ლ. ვოროტინცევა, თ. გაბეცაძე, ბ. სირაძე და სხვ.</p>
<b>8.2</b>	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – ქ. თბილისი, 1983; 1985 წ. 1986.
<b>8.3</b>	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 16176; 16978, ოქმი 9964 (ინვენტ. 16979)

**შემსრულებლები:**

ს. მკალაიშვილი, ნ. ჩომახიძე, ლ. ბახტაძე, ა. ქემოკლიძე, გვაძაბია, მეტრეველი, ტულუში, ი. რობაქიძე

**შეთანხმებულია:**

სასარგებლო წიაღისეულის მართვის  
 დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩალათაშვილი